

დევიდ ლინჩის ვიზიტი საქართველოში 18-21 ნოემბერს იგეგმება

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში დღეს კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის (DLFC) ხელმძღვანელს, გიგა აგლაძეს და მის გუნდს შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, პირველი სამუშაო შეხვედრის მთავარი თემა ეხებოდა ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის დევიდ ლინჩის საქართველოში ვიზიტს, რომელიც 18-21 ნოემბერს იგეგმება.

„ეს არის საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობა, რომ ვუმასპინძლოთ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორს და ვისაუბროთ მის ფონდთან სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საინტერესო საგანმანათლებლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის ოფისის დაფუძნება თბილისში, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ქართველი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე, საქართველოს როგორც კინოინდუსტრიის განვითარების ასევე, საგანმანათლებლო სფეროში ახალი პროექტების განხორციელების ისტორიულ შესაძლებლობებს აძლევს. მოხარული ვარ, რომ მე და ჩემს კოლეგებს მოგვეცემა საშუალება შევხვდეთ და ვუმასპინძლოთ ლეგენდარულ კინორეჟისორს და მასთან ერთად განვიხილოთ საქართველოს განათლების, კულტურისა და სოციალური მიმართულებებით უაღრესად მნიშვნელოვანი სამომავლო ინიციატივები“, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ მარიამ ჯაშმა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, შეხვედრაზე ისაუბრეს ნოემბერში დევიდ ლინჩის ვიზიტის დაგეგმვის თაობაზე. საქმე ეხება მაღალი დონის შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი ინიციატივა ეხება დევის ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში, რაც ჩვენს ქვეყანას მისცემს უნიკალურ საშუალებას, რომ თავად განავითაროს კინემატოგრაფიის კუთხით საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ასევე იგეგმება საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებით დისკუსია, რომლის დეტალებსაც კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ერთად განიხილავს. დაბოლოს, საუბარია ფართომასშტაბიან სოციალურ პროექტზე – ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე.

გიგა აგლაძის განცხადებით, უკვე გადაწყვეტილია, რომ დევიდ ლინჩი ნოემბერში გვესტუმრება და ფართო აუდიტორიასთან გამართავს შეხვედრებს, გაიმართება მისი ფილმების ჩვენებაც.

„ის პროექტები, რისი გაკეთებაც იგეგმება ქვეყნისთვის, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მათ შორის არის დევიდ ლინჩის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის და ა-კლასის კინოფესტივალის დაარსება. ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია, კინემატოგრაფიის ენაზე რომ ვთქვათ, ასეთი ახლო ურთიერთობა ჰოლივუდთან და დიდ რეჟისორებთან, ვინაიდან დევიდ ლინჩის ფონდი 250 ცნობილ სახეს აერთიანებს, მათ შორისაა მარტინ სკორსეზე და ა.შ და ა.შ. ვფიქრობთ, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება. ამ ფონდის გახსნით საქართველოში და კავკასიაში, ჩვენ არა თუ უკვე მივუახლოვდით ამ ადამიანებს, პირიქით საქართველოში ველოდებით მათ. სულ მალე საქართველოში ჰოლივუდის ყველა ის ვარსკვლავი ჩამოვა, რომელთა ნახვაც აქამდე მხოლოდ კინოეკრანზე შეგვეძლო“, – განაცხადა გიგა აგლაძემ.

DAVID LYNCH'S VISIT IN GEORGIA IS PLANNED ON NOVEMBER 18-21

Today the Chairperson of the Committee of Education, Science and Culture Mariam Jashi met with the head of David Lynch Foundation Caucasus (DLFC) and his team. This information has been diffused by the Parliament of Georgia.

According to them the main topic of the business meeting concerned the visit of the famous film director David Lynch in Georgia which is planned on the November 18-21.

"This is the greatest opportunity for Georgia to host such a world famous film director and discuss with him the future cooperation initiatives with his Foundation. It's also important that implementation of the interesting educational and social projects is planned in Georgia, Azeraijan and Armenia in scope of the Foundation programs.
Foundation of David Lynch Foundation Caucasus office in Tbilisi which is headed by a Georgian film director and a musician Giga Agladze, is a historical opportunity for Georgia in terms of development in cinematography and education. I am happy that I and my colleagues will have such an opportunity to meet. and host a legendary film director and discuss with him quite important initiatives in the educational, social and cultural spheres", - expressed Mariam Jashi.

The Chairperson of the Commitee declared that the discussion also concerned the organizational issues of David Lynch's visit in November. It concerned organization of high-class meetings where several important topics will be discussed. The first topic is related to the establishmet of David Lynch International Film University in Georgia. That will give our country a unique opportunity to develop educational possibilities from the point of cinema. Discussion will also be held concerning the project of the international film festival. Its details will be discussed within the appropriate bodies of the Executive Authority. And finally one of the main topic is broad social project which comprises provision of rehabilitation program to the victims of car accidents.

According to Giga Agladze David Lynch's visit in November is already confirmed. He will hold meetings in from of a broad public and his film will be shown in the movie theatre.

Those projects that are planned for the country are very important. Among them we have to note establishment of Film University and A-class film festival. It's undoubtedly important for our country, to express it in cinema mode to have a relationship with Hollywood and such a big film director, as David Lynch Foundation unites about 250 famous faces like Martin Scorsese etc. We think that everything will be the way that our country needs. With the establishment of this Foundation in Georgia and in Caucasus, we not only move closer to those people, but we are also expecting them in Georgia. Very soon Georgia will be visited by those Hollywood Stars, whom we yet had a chance to see only on the screens. – Announced Giga Agladze.